

თავი 3

მესამე დანი

ქართული სოციალ-დემოკრატია იმ დროს მომნიჭდა, როცა ევროპელ სოციალისტებს შორის ცხარე დებატები მიმდინარეობდა ნაციონალიზმის, სოციალიზმის, რევოლუციისა და რეფორმების ურთიერთდამოკიდებულების ხასიათზე. ქართველი სოციალისტებიც იმავე პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ, რის მოგვარებაზეც ყველა იმდროინდელი სოციალისტი ფიქრობდა. კერძოდ, როგორი ფორმა უნდა ჰქონოდა პარტიულ ორგანიზაციას, რა სახის ურთიერთობა ჰქონოდა სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას საზოგადოების არაპროლეტარულ ფენასთან, როგორი დამოკიდებულება აღინიშნებოდაპოლიტიკურ და ეკონომიკურ ბრძოლას შორის და რამდენად მნიშვნელოვანი იყო მათთვის ლეგალური საქმიანობა. ქართული სოციალ-დემოკრატიისთვის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა, ისევე როგორც თავის დროზე თერგდალეულებისთვის, ეროვნული საკითხი იყო. ქართველი სოციალ-დემოკრატები ყურადღებით ადევნებდნენ თვალს ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის განვითარებას, რომლის წევრებიც ნაციონალიზმისა და სოციალიზმის შერწყმას ცდილობდნენ. იმპერიებში მოქმედი სოციალისტური ორგანიზაციების მსგავსად, ქართულიც თავიდანვე აღმოჩნდა ეროვნული ავტონომიისა და თვითგამორკვევის საკმარისად საჩოთირო პრობლემების წინაშე. ევროპის ქვეყნებში სოციალისტური პარტიების გაძლიერებამ და პარალელურად, იმპერიის უღლის ქვეშ მცხოვრები ხალხების გამოფხიზლებამ ეროვნული საკითხი იმ პრობლემად აქცია, რომლის იგნორირებაც აღარ შეიძლებოდა.

მარქსიზმისა და ნაციონალიზმის ურთიერთდამოკიდებულების საკითხის ირგვლივ წამოჭრილი დაპირისპირებები ქართველი მარქსისტების ადრეული პერიოდის დებატებშიც იგრძობოდა, მაგრამ 1890-იანი წლების დასაწყისში ძალზე საინტერესო თეორიული სინთეზი გამოიკვეთა. საქართველოს კოლონიური

სათვის...“⁴ შემდეგ წერეთელი ასე ახასიათებს ახალი თაობის წარმომადგენლებს: „ისინი სოფლის მასწავლებლები, ინტელექტუალურად განვითარებული სემინარიელები და პედაგოგთა ინსტიტუტის კურსდამთავრებულები არიან“, რომლებსაც მიზნად დაუსახავთ „გაუნათლებელი ხალხისთვის წერა-კითხვის სწავლება, მათთვის მეცნიერთა ნათელი და დასაბუთებული შეხედულებების გაცნობა და მსოფლიოში განვითარებული მოვლენების კვალდაკვალ სიარული.“⁵ ისინი ქართველებს „ახლადამოცენებულ მიმართულებას“ დაანახებენ. დასელებს, როგორც მათ ეძახდნენ, არ ესია მოვნათ წერეთლისეული კლასიფიკაცია. 1895 წლის თებერვლის „კვალში“ დაბეჭდილ წერილში სილიბისტრო ჯიბლაძემ აღიარა, რომ საფლავზე წარმოთქმული სიტყვების გამოქვეყნებამ „ჩვენი ინტელიგენცია ლეთარგიისგან გამოადვიდა“, მაგრამ მტკიცედ უარყო, რომ დასელებს რაიმე კავშირი ჰქონდათ წინა ჯგუფებთან ან, როგორც წერეთელმა თქვა, მესამე ჯგუფი ჭეშმარიტი შთამომავალი იყო მეორე ჯგუფისა.⁶ ჯიბლაძე დაეთანხმა იმ მოსაზრებას, რომ შესაძლოა მათ თერგდალეულებთან რაღაც საერთო ჰქონოდათ, მაგრამ მისი აზრით, ძირფესვიანად „რეაქციონერ“ თერგდალეულებსა და პროგრესულ დასელებს შორის საბოლოოდ „სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა“ გაიმართებოდა. თუმცა ამ ეტაპზე დასელებს თავად ვერ გაერკვიათ, რას წარმოადგენდა მათი „ისტორიული ფუნქცია.“ მათ იცოდნენ, რომ კაპიტალიზმი პროგრესული რამ იყო და, რომ „დღევანდელი ცხოვრება ჩვენ ორ მოწინააღმდეგე წოდებას, კლასს გვთავაზობს,“ მაგრამ წარმოდგენა არ ჰქონდათ, ვინ იყო საქართველოში ბურჟუაზია და ვინ — მუშათა კლასი. იმხანად დასელები „ჩაგრულებისთვის“ იბრძოდნენ მხოლოდ, ისინი პოლიტიკურად შეგნებული მუშათა კლასის წინამძღოლები ჯერ არ გამხდარიყვნენ.⁷ ამ ჯგუფის წევრთა უმრავლესობას ის-ის იყო დაემთავრებინა თბილისის სემინარია, ერთადერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება საქართველოში და არც ორგანიზაცია ჰქონდათ და არც პროგრამა. როგორც ფილიპე მახარაძემ აღნიშნა, ისინი „ინსტიქტით იყვნენ რევოლუციონერები“, თუმცა „ნათელი გზა“ არ გააჩნდათ.⁸

სემინარია

თბილისის სემინარიას განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ქართული სოციალ-დემოკრატიის განვითარებაში. მან ნამდვილად დაჯაბნა ლენინის ლონჟუმოსა და კაპრის მარქსისტული სკოლები, იმდენად ბევრი რევოლუციონერი აჩუქა ქვეყანას.⁹ იოსებ ჯულაშვილიც, მოგვიანებით სტალინი რომ უწოდეს, ამ